სახელმწიფო აუდიტის სამსახური

"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

საერთო დანიშნულების
სახელმწიფო მომსახურების სფეროს
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

ფრიდონ შენგელია

„---16---“ --06--- 2017 წელი

ეგზ. N2

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული
სახელმწიფო შესყიდვებისა და სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესაბამისობის
აუდიტის ანგარიში N 30/36

2015 წლის 1 იანვარი - 2016 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

1. გამოყენებული შემოკლებანი 3
2. შემაჯამებელი მიმოხილვა 3
3. შესავალი 3
4. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის საქმიანობის ზოგადი აღწერილობა 3
5. აუდიტის ობიექტის პასუხისმგებლობა 4
6. აუდიტორის პასუხისმგებლობა 4
7. აუდიტის საგანი 5
8. აუდიტის კრიტერიუმები: 5
9. აუდიტის მიზანი და მასშტაბი 5
10. შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის ფორმა 6
11. სახელმწიფო შესყიდვები 6
12. საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი 7
13. რეკომენდაციები 12

გამოყენებული შემოკლებანი

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია - ადმინისტრაცია;
საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი - ფონდი;
სახელმწიფო შესყიდვა - შესყიდვა;
საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან დაფინანსებული პროექტი - პროექტი;

შემაჯამებელი მიმოხილვა

- 2015 წელს გამოცხადებულ SPA150001308 ტენდერში პრეტენდენტი გამარჯვებულადაა ცნობილი ისე, რომ მის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციით ვერ დასტურდებოდა, აკმაყოფილებდა თუ არა იგი სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.
- ცალკეულ შემთხვევაში ფონდიდან სახსრების გამოყოფა ხდებოდა ისეთი ხარჯების დასაფინანსებლად, რომელთა დაფინანსების გათვალისწინება შესაძლებელი იყო ადმინისტრაციის ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე.
- საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან დაფინანსებულ ზოგიერთ პროექტში მაღალია პროექტის ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურების წილი.

შესავალი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ 2015-2016 წლებში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა და სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესაბამისობის აუდიტი.

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის საქმიანობის ზოგადი აღწერილობა

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია არის საქართველოს პრეზიდენტისათვის საქართველოს კონსტიტუციითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელების ხელშემწყობი და მაორგანიზებელი კონსტიტუციური ორგანო. ადმინისტრაცია თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს:

- საქართველოს პრეზიდენტის ურთიერთობის კოორდინაციას საქართველოს პარლამენტთან, საქართველოს მთავრობასა და სხვა სახელმწიფო ორგანოებთან,

საერთაშორისო ორგანიზაციებთან, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ გაერთიანებებსა და სხვა ინსტიტუტებთან;

- საქართველოს პრეზიდენტის ინფორმირებას ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობის შესახებ;
- საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტების პროექტების ექსპერტიზას და /ან მომზადებას;
- საქართველოს პრეზიდენტისათვის საქართველოს კონსტიტუციითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებული საკადრო გადაწყვეტილებების მიღებაში ხელშეწყობას;
- საკონსტიტუციო სასამართლოსა და საერთო სასამართლოებში საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენლობა;
- საქართველოს კონსტიტუციითა და კანონმდებლობით განსაზღვრულ ფარგლებში ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი პოლიტიკის საკითხებზე წინადადებების შემუშავებას;
- და სხვა.

აუდიტის ობიექტის პასუხისმგებლობა

ადმინისტრაცია პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მიწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმდაგვარი წარმართვისათვის, რომ გამოირიცხოს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეული არსებითი კანონშეუსაბამობები.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (ISSAI 4100), რომელიც მოიცავს შესაბამისობის აუდიტის ჩატარებას, განცალკევებით ფინანსური ანგარიშგების აუდიტისაგან.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ ადმინისტრაციის მიერ 2015-2016 წლებში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები და

სარეზერვო ფონდის ხარჯვა არ შეიცავს მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებით შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტორული პროცედურები წარიმართა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობებზე დაყრდნობით, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამობების რისკებზე, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით.

აუდიტის საგანი

აუდიტის საგნად განისაზღვრა ადმინისტრაციის მიერ 2015-2016 წლებში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები და სარეზერვო ფონდის ხარჯვა.

აუდიტის კრიტერიუმები:

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:

- „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი;
- „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 19 დეკემბრის N463 ბრძანებულება.
- „საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის განკარგვის პროცესში საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2014 წლის 9 ოქტომბრის N412 ბრძანებულება.
- „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანება;
- „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზრვრისა დაგამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N15 ბრძანება;
- „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანება.
- „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის N121 დადგენილება.

აუდიტის მიზანი და მასშტაბი

ადმინისტრაციის მიერ 2015-2016 წლებში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა და სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესაბამისობის აუდიტის მიზნებია:
ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით, იმის შესახებ თუ რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის საგანთან დაკავშირებული ინფორმაცია სათანადო კრიტერიუმთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის, აუდიტის მასშტაბიდან გამომდინარე, ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნების და სადაც შესაფერისია - რეკომენდაციების შესახებ.

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის ფორმა

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში შედგენილია უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4100) მოთხოვნების მიხედვით - „ანგარიში ვრცელი ფორმით“. „ანგარიში ვრცელი ფორმით“ გულისხმობს აუდიტის შედეგებისა და გამოვლენილი გარემოებების უფრო დეტალურ განხილვას, რაც ეხმარება აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს საკითხების ყოველმხრივ გაგებასა და მასზე დაყრდნობით ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში.

გამოვლენილი გარემოებები

სახელმწიფო შესყიდვები

ადმინისტრაციის მიერ 2015 წელს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის ფარგლებში განხორციელებულია 1,636.0 ათასი ლარის ღირებულების სახელმწიფო შესყიდვა. მათ შორის გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით - 686.6 ათასი ლარის, კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით - 529.4 ათასი ლარის, ხოლო გამარტივებული შესყიდვის საშუალებით - 419.9 ათასი ლარის ხელშეკრულება. ამავე წელს საქართველოს პრეზიდენტის შეხვედრებისა და ვიზიტების უზრუნველსაყოფად განხორციელებულია 1,537.0 ათასი ლარის ღირებულების სახელმწიფო შესყიდვა, ხოლო ფონდიდან გამოყოფილი თანხებით - 77.3 ათასი ლარის შესყიდვა[1].
2016 წელს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის ფარგლებში განხორციელებულია 1,163.2 ათასი ლარის ღირებულების სახელმწიფო შესყიდვა. მათ შორის გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით - 386.8 ათასი ლარის, კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით - 403.7 ათასი ლარის, ხოლო გამარტივებული შესყიდვის საშუალებით - 372.8 ათასი ლარის. ამავე წელს საქართველოს პრეზიდენტის შეხვედრებისა და ვიზიტების უზრუნველსაყოფად განხორციელებულია 1,510.8 ათასი ლარის

[1] „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის მე-3[1] მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება არ ვრცელდება საქართველოს პრეზიდენტის შეხვედრებისა და ვიზიტების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხებით განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებზე.

ღირებულების სახელმწიფო შესყიდვა, ხოლო ფონდიდან გამოყოფილი თანხებით - 1,212.2 ათასი ლარის შესყიდვა.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ ადმინისტრაციის მიერ 2015 წლის 15 იანვარს გამოცხადებულ გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში (SPA150001308) პრეტენდენტი გამარჯვებულად იქნა ცნობილი ისე, რომ მის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციით ვერ დასტურდებოდა, აკმაყოფილებდა თუ არა სატენდერო განცხადების მოთხოვნებს. აღნიშნული ტენდერი ადმინისტრაციის მიერ გამოცხადებულია ავტომობილების პროფილაქტიკური მომსახურების (თანმდევი სათადარიგო ნაწილების მიწოდებით) სახელმწიფო შესყიდვის მიზნით. შემსყიდველის მიერ სატენდერო განცხადებით მოთხოვნილი იყო, რომ პრეტენდენტს იმერეთის რეგიონში უნდა ჰქონოდა ავტოშემკეთებელი საწარმო ფართი, სადაც განთავსებული იქნებოდა არანაკლებ 3 ამწე, არანაკლებ 3.5 ტონა ტვირთამწეობის და უნდა შეძლებოდა ერთდროულად არანაკლებ 3 ავტომანქანის მომსახურება;

ტენდერში გამარჯვებულია შპს „ავტოსერვისცენტრი+“, რომლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემაში ატვირთულ სატენდერო წინადადებაში მითითებული იყო, რომ იმერეთის რეგიონში მომსახურების გაწევას უზრუნველყოფდა შპს „ჯეა“-სთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე და წარდგენილია ინფორმაცია შპს „ჯეა“-ს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ [2] , რომლითაც ვერ დასტურდება აკმაყოფილებს თუ არა სატენდერო განცხადების მოთხოვნებს შპს „ავტოსერვისცენტრი+“-ს მონაცემები. მიუხედავად ამისა, სატენედრო კომისიას აღნიშნულ გარემოებაზე არ უმსჯელია და მასთან გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება[3].

2015 წლის განმავლობაში ადმინისტრაციის მიერ შეხვედრების და ვიზიტებისათვის საჭირო ფურშეტების მოწყობისა და კვებითი მომსახურების შესყიდვაში გადახდილია 238.0 ათასი ლარი. უნდა აღინიშნოს, რომ 217.6 ათასი ლარი (91 %) გადახდილია ერთი მიმწოდებლის - შპს „ნიუ სერვის გრუპისათვის“ (ს/კ 406131751).

რეკომენდაცია: ელექტრონული ტენდერის მეშვეობით შესყიდვების განხორციელებისას სატენდერო კომისიამ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების შეფასება მოახდინოს სატენდერო განცხადების მოთხოვნებთან სრული შესაბამისობით.

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი

პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის ასიგნებები 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული იყო 5,000.0 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნულ პერიოდში ფონდიდან გამოყოფილი სახსრების ოდენობამ შეადგინა 4,899.2 ათასი ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა - 4,692.5 ათასი ლარი. 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული

[2] „ავტოსერვისის ფართი - 1190კვ/მ, 8 ავტოამწე, მართვადი თვლების განშლის აპარატი 1 ცალი, კომპიუტერული დიაგნოსტიკის აპარატი 1 ცალი, სახარატო საამქრო, სათადარიგო ნაწილების სასაწყობე მეურნეობა, ერთდროულად 10 ტექმომსახურების გაწევის შესაძლებლობა.“

[3] N 9-T 02.02. 2015 წ.

იყო 5,000.0 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნულ პერიოდში ფონდიდან გამოყოფილი სახსრების ოდენობამ შეადგინა 4,974.3 ათასი ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა - 4,860.1 ათასი ლარი.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით[4], საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან სახსრები გამოიყოფა სახელმწიფო ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დასაფინანსებლად. ცალკეულ შემთხვევაში პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან სახსრების გამოყოფა ხდებოდა ისეთი ხარჯების დასაფინანსებლად, რომელთა დაფინანსების გათვალისწინება შესაძლებელი იყო ადმინისტრაციის ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე. მაგალითად: საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციისათვის ინფორმაციის შეუფერხებელი მიწოდების უზრუნველსაყოფად 2015 წელს მედიამონიტორინგის სამსახურისა (IPM) და საინფორმაციო სააგენტოს ,,ინტერპრესნიუსისათვის" გამოყოფილი იყო 16,4 ათასი ლარი [5], ხოლო 2016 წელს იმავე ორგანიზაციების და ,,ნიუპოსტის" მომსახურების შესაძენად საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაზე გამოყოფილი იყო 25.2 ათასი ლარი [6]. იმის გათვალისწინებით, რომ ადმინისტრაციის საინფორმაციო უზრუნველყოფა სისტემატურ ხასიათს ატარებს, სათანადოდ დაგეგმვის შემთხვევაში შესაძლებელი იყო მათი გათვალისწინება ადმინისტრაციის ასიგნებებში ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე.

ადმინისტრაციისათვის ინტერნეტით სარგებლობის აუცილებელი მომსახურების შეუფერხებელი მიწოდების უზრუნველსაყოფად 2015-2016 წლებში სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი იყო შესაბამისად 2.1 ათასი ევრო და 1.37 ათასი ევრო[7], რაც ორგანიზაცია RIPE-ს ყოველწლიურ საწევრო გადასახადს წარმოადგენს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საწევრო გადასახადის ხარჯები გათვალისწინებული უნდა იყოს ადმინისტრაციის ბიუჯეტის ასიგნებებში.

ფონდიდან სახსრების გამოყოფა ხდებოდა ისეთი ღონისძიების დასაფინანსებლადაც, რომელთა დაფინანსების გათვალისწინება შესაძლებელი იყო შესაბამისი მხარჯავი დაწესებულების ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე. მაგალითად, სარეზერვო ფონდიდან 2016 წლის 26 აპრილის N 26/04/01 განკარგულებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების სამხედრო ქვედანაყოფებზე სპორტული ინვენტარის შეძენის მიზნით, გამოყოფილი იყო 142.6 ათასი ლარი. საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე შესაძლებელი იყო სპორტული ინვენტარის შეძენის ხარჯის გათვალისწინება.

რეკომენდაცია: ადმინისტრაციის საინფორმაციო უზრუნველყოფის და ინტერნეტით სარგებლობის აუცილებელი მომსახურების ხარჯები გათვალისწინებულ იქნეს ადმინისტრაციის შესაბამისი წლის ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე.

[4] 28-ე მუხლის მე-2 პუნქტი.
[5] საქართველოს პრეზიდენტის 2015წ. 09 იანვრის N09/01/01 განკარგულება
[6] საქართველოს პრეზიდენტის 21.01.2016 წლის N21/01/02 განკარგულება
[7] საქართველოს პრეზიდენტის 2015 წლის 13 თებერვლის N13/02/01 განკარგულება და 2016 წლის N10/02/01 განკარგულება.

ფონდიდან დაფინანსებულ ზოგიერთ პროექტში მაღალია პროექტის ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურების წილი. მაგალითად: საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან 2015 წლის 3 ივნისის N03/06/01 განკარგულებით, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს - „აფხაზეთის ვირტუალური არქივს“ მის მიერ განხორციელებული პროექტის „აფხაზეთის ვირტუალური არქივის“ განვითარების მხარდაჭერის მიზნით გამოეყო 95.2 ათასი ლარი. პროექტის მიზანს წარმოადგენდა აფხაზეთის XX საუკუნის საარქივო მასალების გაციფრულებასა და ელექტრონულ კატალოგიზაციას, რაც საბოლოო ჯამში ხელმისაწვდომი გახდებოდა საზოგადოების ფართო მასებისათვის. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად (აუდიტის დასკვნა) პროექტის ფაქტობრივმა ხარჯმა სულ შეადგინა 95.1 ათასი ლარი, საიდანაც პროექტის ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასები 56.9 ათას ლარს შეადგენს (59%).

საქართველოს პრეზიდენტი ფონდიდან 2015 წლის 30 ნოემბრის N30/11/03 განკარგულებით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს „საფარს“ მის მიერ დაგეგმილი პროექტის „ადრეულ ქორწინებასთან ბრძოლის სტრატეგიის განსაზღვრა და ცნობიერების ამაღლება“ განხორციელების მიზნით, გამოეყო 19.9 ათასი ლარი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად (აუდიტის დასკვნა) პროექტის ფაქტობრივმა ხარჯმა სულ შეადგინა 19.9 ათასი ლარი, საიდანაც პროექტის ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასები 14.3 ათას ლარს შეადგენს (71%).

ქვემოთ ცხრილის სახით მოცემულია ფონდიდან დაფინანსებულ პროექტებში დაფინანსების ფაქტობრივი ხარჯის ოდენობა და მათში პროექტის ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურების წილი:

N	განკ. ნომერი და თარიღი	ბენეფიციარი	პროექტის დასახელება	პროექტის ფაქტობრივი ხარჯი	მათ შორის ადმ.პერს. ხელფასი	ადმ.პერ. ხელფასის წილი პროცენტებში
1	N05/02/01 05.02.2015	აიპ „პლატფორმა ცვლილებისათვის“	„სოფლის ფოტოკლუბი პანკისი“	19	8.25	43%
2	N01/04/01 01.04.2015	აიპ „უსაფრთხო განვითარების ხიდი“	„გაძლიერდი და შეიცვალე“	13.9	6. 0	43%
3	N30/11/03 30.11.2015	ააიპ კავშირი „ საფარი“	„ადრეულ ქორწინებასთან ბრძოლის სტრატეგიის განსაზღვრა“	19. 9	14.3	71%
4	N03/06/01 03.06.2015	აიპ „აფხაზეთის ვირტუალური არქივი“	„აფხაზეთის ვირტუალული არქივი“	95.1	56.9	59%
5	N10/02/01 10.02.2015	თსუ „ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი“	ქართულ-ოსური ლიტერატურული და კულტურული ურთიერთობების ხელშეწყობისათვის	58.8	32.9	55%
6	N01/12/02 01.12.2016	აიპ „დემოკრატიის ლაბორატორია“	„მე და კონსტიტუცია“	120.0	51.0	42%
7	27/01/02 27.01.2016	აიპ „საქართველოს საზოგადოებრივი საქმეთა ინსტიტუტი“	სახელმწიფოებრივი მოწყობის საპრეზიდენტო კოლეგიუმი	282.3	122.9	43%

(ათასი ლარი)

გამოვლინდა ისეთი შემთხვევაც, როდესაც პროექტის განმახორციელებლის მიერ პროექტის ხარჯვითი ნაწილის არასწორად დაგეგმვის გამო, საპროექტო განაცხადით ფონდიდან მოთხოვნილია რეალურ საჭიროებაზე მეტი თანხა. საქართველოს პრეზიდენტის 2015 წლის 30 ივნისის N30/06/01 განკარგულებით, საქართველოს სარეზერვო ფონდიდან, სსიპ „იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის“ სხვადასხვა ლაბორატორიული აპარატურის და ლაბორატორიის მცირე კოსმეტიკური რემონტის უზრუნველსაყოფად გამოყოფილია 35.0 ათასი ლარი, თანადაფინანსებით 3.5 ათასი ლარის ოდენობით. პროექტის ბიუჯეტის მთლიანმა ხარჯმა შეადგინა 38.5 ათასი ლარი. პროექტის ბიუჯეტის მიხედვით თანხები უნდა განაწილებულიყო შემდეგი მიმართულებით:

- კალციმეტრი - 25.0 ათასი ლარი.
- ნიტრატმზომი(ლაბორატორიული) – 4.5 ათასი ლარი.
- კალიუმის საზომი(პორტატული) – 2.0 ათასი ლარი.
- ფოსფორის საზომი(პორტატული) – 2.0 ათასი ლარი.
- ლაბორატორიის მცირე კოსმეტიკური სამუშაო - 1.5 ათასი ლარი.
- თანადაფინანსება უნივერსიტეტის მიერ - 3.5 ათასი ლარი.

შპს „მანტა სისტემსი“-სთან სსიპ „იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ მიერ 2015 წლის 7 დეკემბერს გაფორმებული N290 ხელშეკრულების თანახმად შეძენილია 8.4 ათასი ლარის ხელსაწყოები:

- კალციმეტრი (4.2 ათასი ლარი)
- კომპაქტური კალიუმის იონომეტრი(2.3 ათასი ლარი)
- კომპაქტური ნიტრატმეტრი (1.8 ათასი ლარი)

ფონდიდან გამოყოფილი თანხიდან ფაქტობრივად დაიხარჯა 9.8 ათასი ლარი. აუთვისებელმა თანხამ შეადგინა 25.2 ათასი ლარი. საპროექტო განაცხადის ხარჯვით ნაწილსა და ფაქტობრივად განხორციელებულ ხარჯებს შორის გამოვლენილმა სხვაობამ, ცხადყო დაგეგმარების ნაწილში არსებული ნაკლოვანებები, ვინაიდან სათანადოდ არ იქნა განსაზღვრული ლაბორატორიული აპარატის საბაზრო ღირებულება, რომლის დაგეგმარების ფასმა 300%-ით გადააჭარბა განხორციელებული შესყიდვის ღირებულებას, კერძოდ, საპროექტო განაცხადში მითითებული კალციმეტრის ფასი 490%-ით აღემატებოდა შესყიდვის ღირებულებას. აქედან გამომდინარე, სსიპ „იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტმა“ ფონდს დაუბრუნა მიღებული დაფინასების 72%, ანუ 25.2 ათასი ლარი.

რეკომენდაციები

- ელექტრონული ტენდერის მეშვეობით შესყიდვის განხორციელებისას სატენდერო კომისიამ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების შეფასება მოახდინოს სატენდერო განცხადების მოთხოვნებთან სრული შესაბამისობით.
- ადმინისტრაციის საინფორმაციო უზრუნველყოფის და ინტერნეტით სარგებლობის აუცილებელი მომსახურების ხარჯები გათვალისწინებულ იქნეს ადმინისტრაციის შესაბამისი წლის ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე.
- მიზანშეწონილია ფონდის სახსრების მეტი წილი გამოყენებულ იქნეს პროექტების პრიორიტეტების დასაფინანსებლად, ვიდრე პროექტის ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასის ხარჯების დაფინანსებისათვის.

უფროსი აუდიტორი	ლაშა ჭანტურიშვილი
უფროსი აუდიტორი	ნინო ამირანაშვილი
აუდიტორი	ბესიკ ფერაძე
აუდიტორ-ასისტენტი	ირაკლი ქანთარია